საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გვანცა

გვანცა (გ. დაახლ. 1262), რაჭის ერისთავის – კახაბერის ასული, საქართველოს დედოფალი. იყო ავაგ ათაბაგის, მისი გარდაცვალების შემდეგ (1250) – დავით VII ულუს მეუღლე. მონღოლთა წინააღმდეგ დავით ულუს აჯანყების გამო გ. და მისი მცირეწლოვანი შვილი დემეტრე (შემდეგში დემეტრე II თავდადებული) მონღოლებმა შეიპყრეს. ჰულაგუ-ყაენმა დედოფალი სიკვდილით დასაჯა.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (*თხზ.* თორმეტ ტომად, ტ. 3).

ქ. ნადირაძე